სურთ რა ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობას სამოქალაქო ავიაციის სფეროში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განმარტებები

წინამდებარე შეთანხმების და შესაბამისი დანართების მიზნებისათვის:

- a) ტერმინი „საავიაციო ხელისუფლება“ საქართველოსთან მიმართებაში ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და/ან ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას და პოლონეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში ნიშნავს სამოქალაქო ავიაციის სამსახურის პრეზიდენტს, ან ორივე შემთხვევაში ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, აღჭურვილს უფლებამოსილებით შეასრულოს ზემოაღნიშნული ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი ფუნქცია;
- b) ტერმინი „დანიშნული ავიასაწარმო“ ნიშნავს ავიასაწარმოს, რომელიც დანიშნულია წინამდებარე შეთანხმების დანართ 1-ში მითითებული მარშრუტების შესასრულებლად და რომელიც წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, აღჭურვილია საექსპლუატაციო უფლებამოსილებით;
- c) ტერმინი „კონვენცია“ ნიშნავს 1944 წლის 7 დეკემბერს ქ. ჩიკაგოში ხელმოწერილ კონვენციას „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ და მოიცავს მის ნებისმიერ დანართს, რომელიც ძალაშია შესული 90-ე მუხლის თანახმად და მის ან მისი დანართების ნებისმიერ შესწორებას, მიღებულს ამ კონვენციის 90-ე და 94-ე

- მუხლების თანახმად, იმდენად, რამდენადაც ეს დანართები ან შესწორებები მოქმედია ორივე ხელშემკრელი მხარისათვის;
- d) ტერმინი „ტარიფი“ ნიშნავს მგზავრთა გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას და იმ პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ეს ღირებულება მოქმედებს, ავიასაწარმოს მიერ შესრულებული, გადაზიდვებთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ღირებულებისა და პირობების ჩათვლით და არ ითვალისწინებს ფოსტის გადატანის ღირებულებასა და პირობებს;
- e) ტერმინს „ხელშემკრელი მხარის ტერიტორია“ სახელმწიფოსთან მიმართებაში აქვს კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
- f) ტერმინი „წვერი სახელმწიფო“ ნიშნავს ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოს;
- g) ტერმინი „ევროგაერთიანების შეთანხმებები“ ნიშნავს ევროგაერთიანების შესახებ შეთანხმებას და ევროგაერთიანების ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებას;
- h) ტერმინი „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი“ ნიშნავს ავიასაწარმოსთვის გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ასაბუთებს, რომ აღნიშნულ ავიასაწარმოს გააჩნია პროფესიონალური შესაძლებლობა და უნარი უზრუნველყოს საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ექსპლუატაცია სერტიფიკატში მითითებული სააევიაციო საქმიანობებისთვის;
- i) ტერმინებს „საჰაერო მიმოსვლა“, „საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა“, „ავიასაწარმო“ და „არაკომერციული მიზნებით შეჩერება“ აქვთ კონვენციის 96-ე მუხლით მინიჭებული შესაბამისი მნიშვნელობები;
- j) ტერმინი „წინამდებარე შეთანხმება“ მოიცავს ამ შეთანხმებას და მის დანართებს, ასევე ამ დანართებისა და შეთანხმების ნებისმიერ შესწორებას, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
- k) ტერმინი „მომხმარებლის გადასახდელი“ ნიშნავს გადასახდელს, რომელიც კომპეტენტური ხელისუფლების მიერ ან მისი ნებართვით არის ავიასაწარმოსათვის დაწესებული მათი აეროპორტის ქონებით, საშუალებებით, აეროსანაევიაციო საშუალებებით უზრუნველყოფისათვის და მოიცავს საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის, მგზავრების, ტვირთისათვის საჭირო მოწყობილობების და მათთან დაკავშირებული მომსახურების გადასახდელს;
- l) ტერმინი „ფაქტიური ნორმატიული კონტროლი“ ეფუძნება, მაგრამ არ იზღუდება შემდეგით: ავიასაწარმოს აქვს საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი,

რომელიც გაცემულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ და პასუხობს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისათვის. ამასთან, ნებართვის გამცემ ხელშემკერელ მხარეს გააჩნია და ასრულებს ფრენების უსაფრთხოებასა და საავიაციო უშიშროებაზე ზედამხედველობის პროგრამებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 2

მიმოსვლის უფლებების მინიჭება

1. ერთი ხელშემკერელი მხარე ანიჭებს მეორე ხელშემკერელ მხარეს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს, დანართი 1-ით განსაზღვრულ მარშრუტებზე რეგულარული საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განხორციელების მიზნით.

ამგვარი მიმოსვლა და მარშრუტები შემდგომში მოხსენებული იქნება, როგორც „შეთანხმებული ხაზები“ და „დაწესებული მარშრუტები“. თითოეული ხელშემკერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოები განსაზღვრულ მარშრუტზე შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას ისარგებლებენ შემდეგი უფლებებით:

- a) განახორციელონ გადაფრენა მათ ტერიტორიაზე დაფრენის გარეშე;
- b) განახორციელონ მათ ტერიტორიაზე შეჩერება არაკომერციული მიზნებით.
- c) წინამდებარე შეთანხმებისა და დანართი 1-ის დებულებათა შესაბამისად დაწესებული მარშრუტების განსაზღვრულ პუნქტებში ჩასხან ან გადმოსხან საერთაშორისო მგზავრები, ჩატვირთონ ან გადმოტვირთონ ტვირთი და ფოსტა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არცერთი ხელშემკერელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმოს არ ანიჭებს უფლებას მეორე ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე, გასამრჯელოს საფასურად ან ქირით, ბორტზე აიყვანოს მგზავრები, აიტანოს ტვირთი ფოსტის ჩათვლით, მეორე ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე სხვა პუნქტში გადაყვანა-გადაზიდვის მიზნით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზემოაღნიშნული, დრო

და დრო, ერთობლივად შეიძლება იქნას განსაზღვრული ხელშემკერველ მხარეთა საავიაციო ხელისუფლებების მიერ.

3. თუ შეიარაღებული კონფლიქტების, პოლიტიკური არეულობის ან პროცესების ან განსაკუთრებული და უჩვეულო გარემოებების გამო, ერთ-ერთი ხელშემკერველი მხარის დანიშნულ ავიასაწარმოს არ ძალუძს ჩვეულებრივი მარშრუტით განახორციელოს ხაზის ექსპლუატაცია, მეორე ხელშემკერველი მხარე მაქსიმალურად ეცდება ხელი შეუწყოს ხაზის განუწყვეტლივ ექსპლუატაციას და ამ მიზნით მოახდენს მარშრუტების შესაბამის დროებით რეორგანიზაციას.

მუხლი 3

ავიასაწარმოს დანიშვნა და ექსპლუატაციის უფლებამოსილების მინიჭება

1. თითოეულ ხელშემკერველ მხარეს ექნება უფლება დანიშნოს ერთი ან რამოდენიმე ავიასაწარმო დანართი I-ით დაწესებულ მარშრუტებზე შეთანხმებული ხაზების ექსპლუატაციის მიზნით და გააუქმოს ან შეცვალოს ეს დანიშვნები. ერთი ხელშემკერველი მხარის საავიაციო ხელისუფლება წერილობით აცნობებს მეორე ხელშემკერველი მხარის საავიაციო ხელისუფლებას ამგვარი დანიშვნების შესახებ.
2. აღნიშნული დანიშვნის მიღებისას, მეორე ხელშემკერველი მხარე შეუფერხებლად გასცემს შესაბამის უფლებამოსილებებსა და ნებართვებს იმის გათვალისწინებით, რომ:
 - a) საქართველოს მიერ დანიშნული ავიასაწარმოს შემთხვევაში:
 - i. ავიასაწარმო დაფუძნებულია და ლიცენზირებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ii. ავიასაწარმოს დამნიშვნელი ხელშემკერველი მხარე ახორციელებს და ინარჩუნებს ავიასაწარმოს ფაქტიური ნორმატიული კონტროლის უფლებას;
 - b) პოლონეთის რესპუბლიკის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს შემთხვევაში:
 - i. ავიასაწარმოს დაფუძნება ხდება პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ევროგაერთიანების შეთანხმებების მიხედვით

და გააჩნია ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ექსპლუატაციის მოქმედი ლიცენზია;

ii. ავიასაწარმოს ფაქტიურ ნორმატიულ კონტროლს ახორციელებს და მხარს უჭერს ექსპლუატანტის სერთიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფო, ხოლო შესაბამისი საავიაციო ხელისუფლება მკაფიოდ არის აღნიშნული დანიშნის დოკუმენტში;

iii. ავიასაწარმოს მფლობელია და მის მფლობელობას უშუალოდ ან აქციების საკონტროლო პაკეტის მეშვეობით ახორციელებს წევრი სახელმწიფო და/ან მისი მოქალაქეები, ან მე-2 დანართში ჩამოთვლილი სხვა სახელმწიფოები და/ან აღნიშნული სხვა სახელმწიფოების მოქალაქენი, და მას ყოველთვის აქტიურად გააკონტროლებენ აღნიშნული სახელმწიფოები ან/და აღნიშნული სახელმწიფოების მოქალაქეები.

c) დანიშნული ავიასაწარმო აკმაყოფილებს იმ ხელშემკერედი მხარის საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც განიხილავს განაცხადს ან განაცხადებს.

3. თუ ავიასაწარმო ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად არის დანიშნული და ნებართვით აღჭურვილი, მას ნებისმიერ დროს შეუძლია თითოეული შეთანხმებული ხაზის ექსპლუატაციის დაწყება იმ პირობით, რომ ავიასაწარმო შეესაბამება წინამდებარე შეთანხმების ყველა სათანადო პირობას, ისევე, როგორც საექსპლუატაციო ნებართვებთან დაკავშირებულ სახელმწიფო მოთხოვნებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 4

საექსპლუატაციო უფლებამოსილების გაუქმება ან შეჩერება

1. თითოეულ ხელშემკერედ მხარეს უფლება აქვს გააუქმოს, შეაჩეროს ან შეზღუდოს მეორე ხელშემკერედი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს უფლებამოსილებები ან ნებართვები, როდესაც:

a) საქართველოს მიერ დანიშნული ავიასაწარმოს შემთხვევაში:

- i. ავიასაწარმო არ არის დაფუძნებული საქართველოს ტერიტორიაზე ან არ არის ლიცენზირებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

- ii. საქართველო არ ახორციელებს და არ ინარჩუნებს ავიასაწარმოს ფაქტიურ ნორმატიულ კონტროლს;
 - b) პოლონეთის რესპუბლიკის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს შემთხვევაში:
 - i. საპაერო გადამზიდველის დაფუძნება არ ხდება პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ევროგაერთიანების შეთანხმებების მიხედვით ან მას არ გააჩნია ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ექსპლუატაციის მოქმედი ლიცენზია;
 - ii. ავიასაწარმოს ფაქტიურ ნორმატიულ კონტროლს არ ახორციელებს და მხარს არ უჭერს ექსპლუატანტის სერთიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფო, ხოლო შესაბამისი საავიაციო ხელისუფლება მკაფიოდ არ არის აღნიშნული დანიშნის დოკუმენტში;
 - iii. საპაერო გადამზიდველის მფლობელი არ არის და მის მფლობელობას უშუალოდ ან აქციების საკონტროლო პაკეტის მეშვეობით არ ახორციელებს ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფო და/ან მისი მოქალაქეები, ან დანართ 2-ში ჩამოთვლილი სხვა სახელმწიფოები და/ან აღნიშნული სხვა სახელმწიფოების მოქალაქენი,
 - c) ავიასაწარმო არ შეესაბამება წინამდებარე შეთანხმების და მისი დანართების პირობებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლებების განხორციელებისას, საქართველო არ მოახდენს წევრი სახელმწიფოების ავიაგადამზიდავების დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით.
 3. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საექსპლუატაციო ნებართვის გაუქმება, შეჩერება ან პირობების დაწესება დაუყოვნებლივ არ არის საჭირო, მაშინ ამ უფლებით სარგებლობა ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკერედი მხარის საავიაციო ხელისუფლებასთან კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, წინამდებარე შეთანხმების მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5

შეთანხმებული ხაზების ექსპლუატაციის პრინციპები

1. დაწესებულ მარშრუტებზე შეთანხმებული ხაზების ექსპლუატირებისას, ორივე ხელშემკერელი მხარის დანიშნულ ავიასაწარმოებს ექნებათ სამართლიანი და თანაბარი კონკურენციის შესაძლებლობები.
2. თითოეული ხელშემკერელი მხარე თითოეულ დანიშნულ ავიასაწარმოს აძლევს უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ტევადობა და სიხშირე კომერციული და საბაზრო მოსაზრებებიდან გამომდინარე. არცერთი ხელშემკერელი მხარის საავიაციო ხელისუფლება ცალმხრივად არ ზღუდავს მეორე ხელშემკერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ ექსპლუატირებული საჰაერო ხომალდის ტიპს ან ტიპებს, მიმოსვლის ტევადობას, მომსახურების სიხშირეს ან რეგულარობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვაგვარად ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმების ან კონვენციის მე-15 მუხლით განსაზღვრული ერთგვაროვანი პირობები.
3. არცერთი ხელშემკერელი მხარე არ დაუშვებს, რომ მის მიერ დანიშნულმა ავიასაწარმომ ან ავიასაწარმოებმა სხვა ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოებთან ერთად, ან ცალკე, უხეშად გამოიყენონ საბაზრო ძალაუფლება, რაც გამოიწვევს კონკურენტის საგრძნობლად დასუსტებას ან მის განდევნას მარშრუტიდან.

მუხლი 6

საბაჟო გადასახდელები

1. საჰაერო ხომალდი, რომელიც ექსპლუატირებულია საერთაშორისო საჰაერო ხაზებზე ერთი ხელშემკერელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ, ასევე საწვავი, საპოხი მასალები, სათადარიგო ნაწილები, მოწყობილობები, საჰაერო ხომალდზე არსებული მარაგი (სურსათის, სასმელების და თამბაქოს ჩათვლით) მეორე ხელშემკერელი მხარის მიერ თავისუფლდება ყველა სახის საბაჟო გადასახდელების, შემოწმებისათვის დაწესებული მოსაკრებლების და სხვა გადასახადებისაგან ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე შესვლისას იმ პირობით, რომ საჰაერო ხომალდი რეექსპორტირებულია ხელშემკერელი მხარის ტერიტორიიდან და ამგვარი

მოწყობილობები, საწვავი, საპოხი ზეთები და მარაგი დარჩება საჰაერო ხომალდის ბორტზე მანამ, სანამ ისინი რეექსპორტირებულია ან გამოყენებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე შესრულებული მგზავრობის მონაკვეთზე.

2. ასევე თავისუფლდება ამგვარი საბაჟო გადასახდელების მოსაკრებლების და სხვა გადასახადებისაგან, გაწეულ მომსახურებაზე გადასახდელი საფასურის გამოკლებით:

a) საჰაერო ხომალდზე არსებული მარაგი, რომელიც ატანილია რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე აღნიშნული ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დადგენილ ფარგლებში და განკუთვნილია მეორე ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ საერთაშორისო მომსახურებისთვის ექსპლუატირებული საჰაერო ხომალდის ბორტზე მოსახმარად;

b) სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობა, რომელიც შეტანილია ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ საერთაშორისო საჰაერო ხაზზე ექსპლუატირებული საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის;

c) საწვავი და საცხებ-საპოხი მასალები, განკუთვნილი რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს საერთაშორისო გადაზიდვებით დაკავებული საჰაერო ხომალდის მომარაგებისათვის, მაშინაც კი, როდესაც ეს მარაგი გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილზე გადაფრენისას, რომელზეც აიღეს ეს მარაგი;

d) რომელიმე ხელშემკვრელი მხარის დანიშნული ავიასაწარმოს მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გამოყენებული სარეკლამო მასალა, რომელსაც კომერციული ღირებულება არ გააჩნია.

3. რომელიმე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, ნიეთები, რომლებიც ამ მუხლის 1-2 პუნქტებშია ჩამოთვლილი შეიძლება განთავსებულ იქნას საბაჟო ზედამხედველობის ან კონტროლის ქვეშ.

4. სატაბელო საბორტო აპარატურა, აგრეთვე მასალები და მარაგი, რომელიც, ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს საჰაერო ხომალდის ბორტზეა, შეიძლება გადმოიტვირთოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მხოლოდ ამ უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ხელისუფლების თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, ისინი შეიძლება

მოთავსებულ იქნას აღნიშნული საბაჟო ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ იმ დრომდე, სანამ ისევე უკან არ იქნებიან გატანილი, ან სხვაგვარად არ იქნებიან გამოყენებული აღნიშნული ხელისუფლების თანხმობით.

5. მგზავრები, ხელბარგი, ტვირთი და ფოსტა, რომელთა გადატანა-გადაყვანა ხდება ერთი ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე პირდაპირი ტრანზიტით და რომლებიც არ ტოვებენ აეროპორტის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიას, გაივლიან გამარტივებულ კონტროლს. პირდაპირი ტრანზიტით გადატანილი ბარგი და ტვირთი თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისა და სხვა მსგავსი გადასახადებისაგან.
6. შეთანხმებაში აღნიშნული ვერცერთი დებულება ვერ შეუშლის ხელს პოლონეთის რესპუბლიკას დააკისროს გადასახადები, გადასახდელები, მოსაკრებლები ან სხვა საფასური, საკუთარ ტერიტორიაზე საქართველოს მიერ დანიშნული ავიაგადამზიდველისათვის საჰაერო ხომალდზე მიწოდებულ იმ საწვავზე, რომელიც გამოიყენება პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ერთ პუნქტსა და პოლონეთის რესპუბლიკის ან სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა პუნქტს შორის რეისების შესრულებისათვის.

მუხლი 7 განრიგი

1. თითოეული ხელშემკერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმო მეორე ხელშემკერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებას (30) დღით ადრე დასამტკიცებლად წარუდგენს გამიზნული მომსახურების განრიგს, რომელშიც განსაზღვრული იქნება ექსპლუატაციის სიხშირე, დრო, თვითმფრინავის ტიპი, კონფიგურაცია და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა.
2. ნებისმიერი ცვლილება დანიშნული ავიასაწარმოს მიერ დამტკიცებულ განრიგში უნდა წარედგინოს მეორე ხელშემკერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებას დასამტკიცებლად.

მუხლი 8 სახმელეთო მოსახურება

ხელშემკვერელი მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად, პოლონეთის რესპუბლიკის შემთხვევაში, ევროგაერთიანების კანონმდებლობის ჩათვლით, თითოეულ დანიშნულ ავიასაწარმოს უფლება აქვს განახორციელოს სახმელეთო მომსახურება მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე („თვითმომსახურება“) ან სურვილისამებრ შეარჩიოს კონკურენტ მომწოდებელთა შორის სრული ან ნაწილობრივი სახმელეთო მომსახურება. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა ან წესები აფერხებს ან ზღუდავს სახმელეთო მომსახურებას და არ არსებობს ეფექტური კონკურენცია შესაბამისი მომსახურების განმხორციელებელ მომწოდებელთა შორის, თითოეული დანიშნული ავიასაწარმო არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას მომწოდებელთა მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებასა ან სახმელეთო მომსახურებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9 კანონებისა და წესების გამოყენება

- ერთი ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა და პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ფრენების განმხორციელებელი საჰაერო ხომალდების დაშვებას ან აფრენას, ექსპლუატაციას და ამ ხომალდების ნაეიგაციას, აგრეთვე ვრცელდება მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს საჰაერო ხომალდზე.
- ერთი ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა და პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ საჰაერო ხომალდის ბორტზე მყოფი მგზავრების, ეკიპაჟის, ბარგის, ტვირთის ან ფოსტის საკუთარ ტერიტორიაზე მიღებას, გაჩერებასა და გაგზავნას, კერძოდ, შესვლის, საეიზო, საემიგრაციო, საპასპორტო, საბაჟო და სანიტარული კანონმდებლობა გამოიყენება მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს საჰაერო ხომალდის ბორტზე მყოფი მგზავრების, ეკიპაჟების ტვირთისა და ფოსტის მიმართ, მათი ამ ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის და გამგზავრების დროს.

მუხლი 10 ტარიფები

1. ორივე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოებს თავისუფლად შეუძლიათ დააწესონ ტარიფები.
2. ტარიფები წარედგინება ორივე ხელშემკვერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებას ტარიფების ძალაში შესვლამდე ოცდაათი დღით (30) ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საავიაციო ხელისუფლება ათავისუფლებს დანიშნულ ავიასაწარმოებს აღნიშნული სახის ვალდებულებისაგან ან ამცირებს ტარიფების წარდგენის ბოლო ვადას.
3. ნებისმიერ დროს, შესაბამის ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია გადაწყვიტოს:
 - a) განსახილველი მარშრუტის სატარიფო სტრუქტურისა და სხვა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით (კონკურენტუნარიანი საბაზრო მდგომარეობის ჩათვლით), იმ საწყისი ტარიფის გაუქმება, რომელიც, დანიშნული ავიასაწარმოს გრძელვადიან სრულად განაწილებულ შესაბამის ხარჯებთან მიმართებით კაპიტალზე დამაკმაყოფილებელ მოგებასთან ერთად, ძალიან მაღალია მომხმარებელთა საზიანოდ;
 - b) არადისკრიმინაციული გზით, შეაჩეროს საჰაერო მარშრუტის ან მარშრუტების ტარიფის დაწვეა ბაზარზე, როდესაც საბაზრო ძალების მიერ ხანგრძლივი დაწვევის შედეგად, ტარიფები საგრძნობლად განსხვავდება საწყისი სეზონური ტარიფისგან და რაც, თუ გავითვალისწინებთ ავიასაწარმოს გრძელვადიან სრულად განაწილებულ შესაბამის თანხებს, იწვევს ყველა დანიშნულ ავიასაწარმოებს შორის საყოველთაო დანაკარგს შესაბამისი საჰაერო მომსახურების შესრულებისას.

მუხლი 11 შემოსავლების გადარიცხვა

თითოეული ხელშემკვერელი მხარე ანიჭებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს უფლებას კონვერტირება მოახდინოს და გადარიცხოს მის ტერიტორიაზე შესრულებული შეთანხმებული საჰაერო მომსახურებისას, მგზავრების, ბარგის, ტვირთისა და ფოსტის გადაყვანა-გადაზიდვით მიღებული შემოსავალი ადგილობრივად გახარჯული თანხების გამოკლებით. კონვერტირება და გადარიცხვა წარმოებს გადაცვლის საბაზრო კურსით, რომელიც გამოიყენება მიმდინარე საბანკო ოპერაციების დროს, მოქმედი საავალუტო წესების შესაბამისად.

მუხლი 12

ავიასაწარმოს წარმომადგენლობა და რეალიზაციები

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოებს ენიჭებათ უფლება მეორე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე შექმნან საკუთარი ოფისები, ფილიალები და/ან წარმომადგენლობები.
2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოს ენიჭება უფლება მეორე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემოიყვანოს მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე საჰაერო მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭირო საკუთარი პერსონალი.
3. უკუგების საფუძველზე და მეორე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეული ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოს ენიჭება უფლება მოახდინოს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის დოკუმენტების რეალიზაცია მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე უშუალოდ და, შეხედულებისამებრ, მისი აგენტების მეშვეობით. თითოეული ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოს ენიჭება უფლება გაყიდოს ამგვარი გადაყვანა-გადაზიდვები მეორე ხელშემკვერელი მხარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

კონსულტაციები

მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთებით, ხელშემკვერელ მხარეთა საავიაციო ხელისუფლებები დრო და დრო ათანხმებენ ერთმანეთთან წინამდებარე შეთანხმების და მისი დანართების გამოყენების, ინტერპრეტაციის ან შესწორების უზრუნველყოფის საკითხებს.

მუხლი 14
სადაო საკითხების მოგვარება

1. ხელშემკერველ მხარეთა შორის წინამდებარე შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის წამოჭრის შემთხვევაში, ხელშემკერველი მხარეები, პირველ რიგში, შეეცდებიან მოლაპარაკების გზით გადაჭრან აღნიშნული საკითხები.
2. თუ ხელშემკერველი მხარეები ვერ გადაჭრიან დავას მოლაპარაკებების გზით, ისინი შესაძლოა შეთანხმდნენ მიმართონ ერთობლივად შეთანხმებულ პიროვნებას ან ორგანიზაციას, ან დავა რომელიმე ხელშემკერველი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს არბიტრაჟს, რომელიც შედგება სამი არბიტრისაგან. თითოეული ხელშემკერველი მხარე ნიშნავს თითო არბიტრს, ხოლო მესამეს – ამგვარად დანიშნული ორი არბიტრი. თითოეული ხელშემკერველი მხარე დანიშნავს არბიტრს სამოცი (60) დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დიპლომატიური არხების მეშვეობით მიიღებს მეორე ხელშემკერველი მხარიდან მოთხოვნას დავის საარბიტრაჟო სასამართლოში განხილვის შესახებ, მესამე არბიტრი დაინიშნება შემდგომი სამოცი (60) დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხელშემკერველი მხარე აღნიშნულ პერიოდში ვერ დანიშნავს არბიტრს, ან არბიტრი არ იქნება დანიშნული დადგენილ ვადაში, ნებისმიერ ხელშემკერველ მხარეს შეუძლია მიმართოს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდენტს თხოვნით, დანიშნოს არბიტრი ან არბიტრები საჭიროებისდა მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ერთ-ერთი ხელშემკერველი მხარის ეროვნებისაა, ყველაზე უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ხსენებული მიზეზით არ იქნება დისკვალიფიცირებული, განახორციელებს დანიშვნას. ყველა შემთხვევაში, მესამე არბიტრი განსაზღვრავს არბიტრაჟის ჩატარების ადგილს.
3. ხელშემკერველი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით იქნება მიღებული.
4. თითოეული ხელშემკერველი მხარე გასწევს თავისი საკუთარი არბიტრის ხარჯებს; საარბიტრაჟო სასამართლოს ნებისმიერი სხვა ხარჯები თანაბრად განაწილდება ხელშემკერველ მხარეებს შორის.

5. თუ ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს არბიტრაჟის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მეორე ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია შეუზღუდოს, შეუჩეროს ან გაუუქმოს ამ ხელშემკვერელ მხარეს ან მის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოს, რომლებმაც ვერ შეასრულეს ეს ვალდებულებები, წინამდებარე შეთანხმების თანახმად მინიჭებული ნებისმიერი უფლება და პრივილეგია.

მუხლი 15

სამოქალაქო ავიაციის უშიშროება

1. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მინიჭებული უფლებებისა და ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, ხელშემკვერელი მხარეები ადასტურებენ, რომ მათი ურთიერთვალდებულებები უზრუნველყონ სამოქალაქო ავიაციის უშიშროება უკანონო ხელყოფის ქმედებების შემთხვევაში, წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების ზოგადი გამოყენების შეუზღუდავად ხელშემკვერელი მხარეები იხელმძღვანელებენ შემდეგი კონვენციების დებულებებით, კერძოდ: ქ. ტოკიოში 1963 წლის 14 სექტემბრის ხელმოწერილი კონვენცია „საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულებათა და ზოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ“; 1970 წლის 16 დეკემბერს ქ. ჰააგაში ხელმოწერილი კონვენცია „საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“; 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“; „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“ 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილ კონვენციაზე დამატებით, 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში ხელმოწერილი ოქმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“; 1991 წლის 1 მარტს ქ. მონრეალში ხელმოწერილი „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ, მათი გამოვლენის მიზნით“ კონვენცია; ისევე როგორც სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი კონვენცია და ოქმი რომელსაც მიერთებულია ორივე ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფოები.

2. მოთხოვნის საფუძველზე, ხელშემკვრელი მხარეები ყოველგვარ საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ ერთმანეთს, რათა თავიდან აიცილონ სამოქალაქო საპაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდება და ამ საპაერო ხომალდის, მისი მგზავრების, ეკიპაჟის, აეროპორტებისა და საპაერო ნავიგაციის საშუალებების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სხვა უკანონო ქმედებები და მათი განხორციელების ნებისმიერი სხვა მუქარა, რომელიც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ავიაციის უშიშროებას.
3. ხელშემკვრელი მხარეები ორმხრივი ურთიერთობებისას იმოქმედებენ საავიაციო უშიშროების სტანდარტების შესაბამისად და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული და კონვენციის დამატებებად წოდებული რეკომენდირებული პრაქტიკის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ისინი მათ მიერ გამოიყენება; მოსთხოვენ მათ რეგისტრაციის საპაერო ხომალდის ექსპლუატანტებს, ექსპლუატანტებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი ადგილი ან მუდმივი ადგილსამყოფელი არის მათ სახელმწიფო ტერიტორიაზე, ან პოლონეთის რესპუბლიკასთან მიმართებით, საპაერო ხომალდის ექსპლუატანტებს, რომლებიც დაარსებულია საკუთარ ტერიტორიაზე ევროგაერთიანების შეთანხმებების თანახმად და გააჩნიათ საპაერო ექსპლუატანტის მოქმედი სერთიფიკატი ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად, და მათ ტერიტორიაზე არსებული აეროპორტების ექსპლუატანტებს, რათა იმოქმედონ სამოქალაქო ავიაციის უშიშროების ამ დებულებათა შესაბამისად.
4. ორივე ხელშემკვრელი მხარე თანხმდება, რომ მეორე ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მის საპაერო ხომალდის ექსპლუატანტებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საავიაციო უშიშროების იმ დებულებებისა და მოთხოვნების შესრულება, რომლებსაც ეს მეორე ხელშემკვრელი მხარე ითვალისწინებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლის, გამოსვლის, ან მისი ტერიტორიის ფარგლებში ყოფნისათვის. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე ეფექტური ღონისძიების გატარებას, რათა დაიცვას საპაერო ხომალდი, შემოწმოს მგზავრები და ხელბარგი, ჩაატაროს ეკიპაჟის, ტვირთის (მათ შორის, საბარგულში მოთავსებული ბარგის) და საპაერო ხომალდის მარაგის შესაბამისი შემოწმება ჩასხდომა-ჩატვირთვამდე. თითოეული ხელშემკვრელი მხარე დადებითად შეხვდება მეორე ხელშემკვრელი მხარის თხოვნას უშიშროების გონივრულ, სპეციალურ ღონისძიებათა გატარების თაობაზე კონკრეტულ მუქარასთან დაკავშირებით.

- სამოქალაქო საპაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების ან მისი უკანონოდ ხელში ჩაგდების მუქარის არსებობისას, ან ასეთი საპაერო ხომალდის, მისი მგზავრებისა და ეკიპაჟის, აეროპორტებისა და აეროსანაფიგაციო საშუალებათა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული სხვა უკანონო ქმედებების დროს, ხელშემკერელი მხარეები დაეხმარებიან ერთმანეთს კომუნიკაციებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გამარტივებით, რომლებიც მიმართულია ამ ინციდენტის ან მუქარის რაც შეიძლება სწრაფად აღკვეთისაკენ.

მუხლი 16 უსაფრთხოება

- თითოეული ხელშემკერელი მხარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს კონსულტაცია მეორე ხელშემკერელი მხარის მიერ დამტკიცებულ ფრენის უსაფრთხოების სტანდარტებზე საპაერო ხომალდის ეკიპაჟთან, საპაერო ხომალდთან ან მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში. ასეთი კონსულტაციები ტარდება ამგვარი თხოვნის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში.
- თუ ამგვარი კონსულტაციების შედეგად, ერთი ხელშემკერელი მხარე გამოაქვს, რომ მეორე ხელშემკერელი მხარე ეფექტურად არ ინარჩუნებს და არ წარმართავს უსაფრთხოების სტანდარტებს იმ ნებისმიერ სფეროში, რომელიც უთანაბრდება ამ დროისათვის კონვენციის მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, პირველი ხელშემკერელი მხარე მეორე ხელშემკერელ მხარეს ატყობინებს ამ ვითარების შესახებ და იმ ზომებზე, რაც ამ მინიმალური სტანდარტების შესასრულებლად არის საჭირო, ხოლო მეორე ხელშემკერელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიების გატარება. თუ მეორე ხელშემკერელი მხარე ვერ გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს თხუთმეტი (15) დღის ან შესაძლო შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, ეს მდგომარეობა იქნება წინამდებარეშეთანხმების მე-4 მუხლის გამოყენების საფუძველი.
- მიუხედავად კონვენციის 33-ე მუხლში ჩამოყალიბებული ვალდებულებებისა, ორივე ხელშემკერელი მხარე თანახმაა, რომ ერთი ხელშემკერელი მხარის ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების ან მათი სახელით იჯარით აღებული ნებისმიერი საპაერო ხომალდი, რომელიც ახორციელებს მიმოსვლას მეორე

ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიიდან, ამ ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნისას, ექვემდებარება მეორე ხელშემკერელი მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შემოწმებას ბორტზე და საჰაერო ხომალდის ირგვლივ, საჰაერო ხომალდის რეალური მდგომარეობისა და მისი მოწყობილობების შემოწმების მიზნით (ამ მუხლში მოხსენებულია, როგორც “ბაქანზე შემოწმება”), იმ პირობით, რომ ეს არ გამოიწვევს საჰაერო ხომალდის გაუმართლებელ დაყოვნებას.

4. თუ ნებისმიერი ამგვარი ბაქანზე შემოწმება ან მთელი რიგი ამგვარი შემოწმებები გამოიწვევს:
- სერიოზულ ეჭვს, რომ საჰაერო ხომალდი და მისი ექსპლუატაცია არ შეესაბამება კონვენციის მიერ იმ დროისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს; ან
 - სერიოზულ ეჭვს, რომ არსებობს ხარვეზები კონვენციის შესაბამისად იმ დროისათვის დადგენილი უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტურ წარმართვასა და შენარჩუნებაში,

ხელშემკერელ მხარეს, რომელიც ახორციელებს შემოწმებას კონვენციის 33-ე მუხლის განხორციელების მიზნით, შეუძლია დაასკვნას, რომ მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც გაიცა ან მოქმედებს საჰაერო ხომალდების და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟთა მოწმობები და ლიცენზიები და ასევე მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც საჰაერო ხომალდი არის ექსპლუატირებული, არ შეესაბამება ან არ აღემატება კონვენციის მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკერელი მხარის ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების წარმომადგენლების მიერ უარყოფილი იქნება წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ბაქანზე შემოწმების უფლება, მეორე ხელშემკერელმა მხარემ შესაძლოა გამოიტანოს წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნები.
6. თითოეული ხელშემკერელი მხარე იტოვებს უფლებას დაუყოვნებლივ შეაჩეროს ან შეცვალოს მეორე ხელშემკერელი მხარის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს ან ავიასაწარმოების საექსპლუატაციო უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშემკერელი მხარე ბაქანზე შემოწმების, ან ბაქანზე მთელი რიგი შემოწმებების შედეგად, ასევე ბაქანზე შემოწმების, კონსულტაციების ან სხვაგვარ საქმიანობაზე უარის თქმის შემთხვევაში დაასკვნის, რომ ავიასაწარმოს ექსპლუატაციის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გადაუდებელი მოქმედება.

7. ერთი ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი ქმედება წყდება მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან მიმართებაში ამ მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, როგორც კი აღარ იარსებებს ამ ქმედების საფუძველი.
8. როცა პოლონეთის რესპუბლიკის მიერ დანიშნული ავიასაწარმოს რეგულირების კონტროლი ხორციელდება ევროგაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ, მეორე ხელშემკვრელ მხარეს, წინამდებარე მუხლის თანახმად, ეძლევა თანაბარი უფლება გამოიყენოს უსაფრთხოების სტანდარტები და გამოიყენოს აღნიშნული ავიასაწარმოს საექსპლუატაციო უფლებამოსილება.
9. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული შეთანხმებული მომსახურების განხორციელების მიზნით ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემული ან ვარგისად აღიარებული და ჯერ კიდევ ძალაში მყოფი ვარგისობის სერტიფიკატები, კვალიფიკაციის მოწმობები და ლიცენზიები, პოლონეთის რესპუბლიკის შემთხვევაში ევროგაერთიანების წესები და კანონები, მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ იქნება ვარგისად აღიარებული იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სერტიფიკატების, მოწმობების და ლიცენზიების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უტოლდება როგორც მინიმუმ კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებულ მინიმალურ სტანდარტებს.
10. მიუხედავად ამისა, თითოეული ხელშემკვრელი მხარე იტოვებს უფლებას არ სცნოს ვარგისად მის ტერიტორიაზე რეისის შესრულებისათვის მეორე ხელშემკვრელი მხარის ან მესამე ქვეყნის მიერ თავის მოქალაქეებზე გაცემული ან აღიარებული კვალიფიკაციის მოწმობები და ლიცენზიები.

მუხლი 17 ცვლილებები

1. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია შესთავაზოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს მისთვის სასურველი შესწორების შეტანა წინამდებარე შეთანხმებაში. კონსულტაციები, შეთანხმებაში შესწორებების შეტანის თაობაზე, რომელიც შესაძლებელია გაიმართოს როგორც მოლაპარაკებების, ასევე მიმოწერის გზით, დაიწყება მათი

ჩატარების თაობაზე მოთხოვნის მიღებიდან სამოცი (60) დღის განმავლობაში, თუ ხელშემკერელი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

2. წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერი ცვლილება ხელშემკერელ მხარეთა მიერ ფორმდება ცალკეული ოქმის სახით, რომელიც ძალაში შევა შეთანხმების მე-20 მუხლში მოცემული წესის შესაბამისად.

მუხლი 18 მოქმედების შეწყვეტა

1. წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი დროით.
2. თითოეულ ხელშემკერელ მხარეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია გაუგზავნოს შეტყობინება მეორე ხელშემკერელ მხარეს წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება იმავდროულად გაეგზავნება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას.
3. ამ შემთხვევაში, შეთანხმება მოქმედებას წყვეტს მეორე ხელშემკერელი მხარის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან (12) თვის შემდეგ, თუ ამ ვადის გასვლამდე არ განხორციელდა შეტყობინების უკან გამოთხოვა. იმ შემთხვევაში თუ მეორე ხელშემკერელმა მხარემ არ დაადასტურა შეტყობინების მიღება, მაშინ იგი მიღებულად ჩაითვლება სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის მიერ შეტყობინების მიღებიდან თოთხმეტი (14) დღის შემდეგ.

მუხლი 19 სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში რეგისტრაცია

წინამდებარე შეთანხმება და მისი ნებისმიერი ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მუხლი 20
ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმება დამტკიცდება თითოეული ხელშემკერელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც ორივე ხელშემკერელი მხარე დაადასტურებს დიპლომატიური ნოტების გაცვლით. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკერელი მხარეების მიერ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, რომლითაც ისინი ადასტურებენ თითოეული ხელშემკერელი მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულებას.

შესრულებულია 2010 წლის 26 ნოემბერს, ქ. ვარშავაში, ორ დღეანად, პოლონურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. ტექსტების განსხვავებული განმარტების ან გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.



პოლონეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით



საქართველოს
მთავრობის სახელით

დანართი 1

სამარშრუტო განრიგი

1. პოლონეთის მარშრუტები

საწყისი პუნქტები	შუალედური პუნქტები	პუნქტები საქართველოში	პუნქტები საზღვრებს მიღმა
ნებისმიერი პუნქტი პოლონეთში	ნებისმიერი პუნქტი	ნებისმიერი პუნქტი	ნებისმიერი პუნქტი

2. საქართველოს მარშრუტები

საწყისი პუნქტები	შუალედური პუნქტები	პუნქტები პოლონეთის რესპუბლიკაში	პუნქტები საზღვრებს მიღმა
ნებისმიერი პუნქტი საქართველოში	ნებისმიერი პუნქტი	ნებისმიერი პუნქტი	ნებისმიერი პუნქტი

- შუალედური და საზღვრებს მიღმა მდებარე პუნქტები განისაზღვრება დანიშნული ავიასაწარმოების მიერ და წარედგინება ორივე ხელშემკერელი მხარის საავიაციო ხელისუფლებას.
- შუალედური და საზღვრებს გარეთ მდებარე პუნქტები შეიძლება გამოტოვებულ იქნეს ნებისმიერი რეისის შესრულებისას, იმ პირობით, რომ შეთანხმებული მომსახურება იწყება ან წყდება იმ ხელშემკერელი მხარის ტერიტორიაზე, რომელმაც დანიშნა აღნიშნული ავიასაწარმო.
- პაერის მეხუთე თავისუფლების განხორციელების უფლება შეიძლება შეთანხმდეს ორივე ხელშემკერელი მხარეების საავიაციო ხელისუფლებებს შორის.
- შეთანხმებულ მარშრუტებზე მომსახურების განხორციელებისას ან მათზე უფლებების ფლობისას, ერთი ხელშემკერელი მხარის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ავიასაწარმოს შეუძლია გააფორმოს ერთობლივი კომერციული ხელშეკრულებები, როგორცაა ბლოკ-ადგილების ან კოდის ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებები:

- a) რომელიმე ხელშემკერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- b) მესამე მხარის ავიასაწარმოსა ან ავიასაწარმოებთან;

იმ პირობით, თუ:

- a) აკმაყოფილებს ორივე ხელშემკერელი მხარის სააეიაციო ხელისუფლებების მოთხოვნებს, რომელიც განისაზღვრება აღნიშნული სახის ხელშეკრულებაში;
- b) უზრუნველყოფს მომხმარებელს ზუსტი ინფორმაციით თუ რომელი ავიასაწარმო რომელ მონაკვეთზე შეასრულებს საჰაერო მომსახურებას და რომელ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან დებს მომხმარებელი ხელშეკრულებას.

დანართი 2

წინამდებარე შეთანხმების მე-3 და მე-4 მუხლებში მოხსენებული სხვა სახელმწიფოთა ჩამონათვალი:

1. ისლანდიის რესპუბლიკა (ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების შესაბამისად);
2. ლიხტენშტაინის სამთავრო (ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების შესაბამისად);
3. ნორვეგიის სამეფო (ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების შესაბამისად);
4. შვეიცარიის კონფედერაცია (ევროგაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის საჰაერო ტრანსპორტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად).

AGREEMENT
BETWEEN
THE GOVERNMENT OF THE REPUBLIC OF POLAND
AND GEORGIA
CONCERNING CIVIL AIR TRANSPORT

The Government of the Republic of Poland and the Government of Georgia, hereinafter referred as “the Contracting Parties”,

being parties to Convention on International Civil Aviation, signed at Chicago on 7 December 1944,

desiring to conclude an agreement on air transport for the purpose of establishing air services between their respective territories,

desiring to promote the mutual relations in the area of civil aviation,

have agreed as follows:

Article 1 Definitions

For the purposes of this Agreement and of the Annexes thereto:

- a) the term “aeronautical authority” shall mean, in the case of the Republic of Poland, the President of the Civil Aviation Office, and, in the case of Georgia, The Ministry of Economy and Sustainable Development and/or the United Transport Administration or in both cases any person or body authorized to perform any functions being the responsibility of the said authorities;
- b) the term “designated airline” shall mean an airline which has been designated for the purpose of operating the agreed services on the routes specified in the Annex 1 to this Agreement and which has obtained the operating authorization, in accordance with the provisions of Article 3 of this Agreement;

- c) the term “Convention” shall mean the Convention on International Civil Aviation, signed at Chicago on 7 December 1944 and includes any Annex adopted under Article 90 of that Convention, and any amendment of the Annexes or of the Convention under Articles 90 and 94 thereof so far as those Annexes and amendments have been adopted by both Contracting Parties;
